

რელიგიის თავისუფლების სტანდარტები

სახელმძვანალო
ადგილობრივი
თვითმმართველობისთვის



ბოლნისის რაიონის მუნიციპალიტეტის მერიისთვის



Kingdom of the Netherlands

რელიგიის თავისუფლების სტანდარტები

სახელმძღვანელო ადგილობრივი
თვითმმართველობისთვის

ტოლერანტობის და
მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)
2018

გზამკვლევი გამოცემულია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს შეხედულებებს.

დიზაინი:

ბესიკ დანელია

რედაქტორი:

ნინო საითიძე



Kingdom of the Netherlands

1	შესავალი	4
2	რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპები	6
3	რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები	8
4	რელიგია განათლების სისტემაში	10
5	რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა	11
6	შეიარაღებული ძალები და კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა	13
7	თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საკანონმდებლო სტანდარტები	15
	დისკრიმინაცია	15
	საქართველოს კანონმდებლობა დისკრიმინაციის აკრძალვის სფეროში	16
	საჯარო მოხელეების ვალდებულებები	18
	რწმენისა და აღმსარებლობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტები	21
	რწმენისა და აღმსარებლობის დაცვის გარანტიები ეროვნულ კანონმდებლობაში	22
8	რელიგიური გაერთიანებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტები	23
	მშენებლობის ნებართვების გაცემისას არსებული სისტემური პრობლემები და რეკომენდაციები	23
	რელიგიური ორგანიზაციების მუნიციპალური დაფინანსება	29
	რელიგიური ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობის შესაძლებლობები	31
	საჯარო სივრცის გამოყენება, საჯარო თავშეყრის ადგილები, ნებართვა აქციებისა და მსვლელობების გამართვისთვის	31
9	რელიგიური მრავალფეროვნების ენა	33

თანამედროვე საზოგადოება ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპს ეფუძნება. ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს თვითგამოხატვისა და განვითარების საშუალება. სახელმწიფო კი, როგორც სამოქალაქო შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ინსტიტუტი, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ეფექტიან გარანტიებს უნდა ქმნიდეს.

საქართველო მრავალკონფესიური და მრავალეთნიკური ქვეყანაა. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, მისი მოსახლეობის 83.4% მართლმადიდებელია, 10.7% – მუსლიმი, 2.9% – სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი. დანარჩენ მაჩვენებლებს ინაწილებენ კათოლიკე ეკლესია, იეჰოვას მოწმეები, ებიდები, სხვადასხვა პროტესტანტული დენომინაცია, იუდაური თემი და სხვ. ოფიციალურ მონაცემებში იგულისხმებიან ის ადამიანებიც, რომლებიც თავს არცერთ რელიგიას არ მიაკუთვნებენ. საქართველოში, სხვადასხვა მონაცემით, 100-მდე რელიგიური გაერთიანება არსებობს.

საუკუნეების განმავლობაში მრავალფეროვნება ქართული კულტურისა და ისტორიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო. სხვადასხვა რელიგია, ეთნიკური ჯგუფი და კულტურა არა მარტო თავად პოულობდნენ საქართველოს, არამედ ქართველი პოლიტიკოსები, რელიგიური მოღვაწეები და მწერლებიც გამუდმებით ეძებდნენ ახალსა და უცხოს. განსხვავებული რელიგიური კუთვნილება ეროვნული იდენტობის ნაწილად აღიქმებოდა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე წერდა: „სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა – ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს; მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისათვისაც სასარგებლო“¹.

საქართველოს უზენაეს კანონში, კონსტიტუციაში, აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი XV. „ილიას ფონდი“, თბილისი, 2007, გვ. 167-169.

იმისთვის, რომ სახელმწიფომ შექმნას რწმენისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის გარანტიები ყველასთვის, იგი რომელიმე ერთ კონკრეტულ რელიგიასა თუ რელიგიურ ინსტიტუტთან არ უნდა ასოცირდებოდეს.

სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის მოდელს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი:

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.



აღნიშნული ნორმა არ აწესებს რაიმე პრივილეგიას რომელიმე რელიგიური ჯგუფისთვის და მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული როლის აღნიშვნით შემოიფარგლება, ასევე, ადგენს სახელმწიფოსა და რელიგიური ინსტიტუტების გამიჯვნის, დამოუკიდებელ სუბიექტებად გამოცხადების გარანტიებს.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, მასში ჩამოყალიბებული პრინციპებისა და რეკომენდაციების ანალიზის შედეგად, საჯარო მოხელეთა და რელიგიურ გაერთიანებათა ურთიერთობა გახდეს მეტად შედეგიანი; დაცული იყოს კანონის უზენაესობისა და თანასწორობის, სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის პრინციპი, ხელი შეეწყოს ტოლერანტობის კულტურის განვითარებას, სათანადოდ იყოს წარმოჩენილი საქართველოს კულტურული და კონფესიური მრავალფეროვნება.

რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპები

² საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, თანასწორობის უფლება დაცულია მე-11 მუხლით, ხოლო რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლება – მე-16 მუხლით.

³ თეიზმი – რელიგიური მოძღვრება, რომელიც აღიარებს, რომ არსებობს განსაკუთრებული გონიერი პიროვნება – ღმერთი, რომელმაც შექმნა ქვეყანა და განაგებს მას (ჭაბაშვილი, მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი / შეადგინა [და წინასიტყვ. დაურთო] მიხეილ ჭაბაშვილმა. – მე-3 შესწ. და შევს. გამოც. – თბ.: განათლება, 1989).

⁴ ათეიზმი – ღვთის არსებობისა და ყოველგვარი რელიგიის უარყოფა (ჭაბაშვილი, მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი / შეადგინა [და წინასიტყვ. დაურთო] მიხეილ ჭაბაშვილმა. – მე-3 შესწ. და შევს. გამოც. – თბ.: განათლება, 1989).

⁵ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, საქართველოში ძალაშია: 03/08/1994.

⁶ CCPR General Comment No. 22: Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), Adopted at the Forty-eighth Session of the Human Rights Committee, on 30 July 1993 CCPR/C/21/Rev.1/Add.4, General Comment No. 22. (General Comments), ხელმისაწვდომია: <http://www.refworld.org/docid/453883fb22.html>

⁷ CCPR General Comment No. 22: Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), Adopted at the Forty-eighth Session of the Human Rights Committee, on 30 July 1993 CCPR/C/21/Rev.1/Add.4, General Comment No. 22. (General Comments), ხელმისაწვდომია: <http://www.refworld.org/docid/453883fb22.html>

რელიგიის თავისუფლება თანამედროვე სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი საფუძველია და მისი დაცვა ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი უზრუნველყოფს ადამიანის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების დაცვას².

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ვრცელდება როგორც თეისტურ³ შეხედულებებზე, ასევე ათეისტურ⁴, აგნოსტიკურ და სხვა სახის რწმენაზე. შესაბამისად, დაცულია ადამიანის უფლება, ჰქონდეს რწმენა, იყოს ნებისმიერი რელიგიის მიმდევარი; ასევე, უფლება, არ აღიარებდეს არცერთ რელიგიურ ინსტიტუტს ან მრწამსს. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დაიცვას მიუკერძოებლობა ნებისმიერი მოქალაქისადმი, მიუხედავად მისი რწმენისა ან/და რელიგიური კუთვნილებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის 48-ე სესიზზე მიღებული ზოგადი განმარტების თანახმად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის⁵ მე-18 მუხლი მოიცავს ყველა სახის რწმენას და არ არის შეზღუდული რომელიმე დადგენილი კლასიფიკაციით⁶.

კომიტეტის განმარტების თანახმად, აუცილებელია ტერმინებისთვის – „რწმენა“ და „რელიგია“ – ფართო მნიშვნელობის მინიჭება, ისინი მოიცავს ნებისმიერი რელიგიის, რწმენის ან აზრის თავისუფლებას. ეს განმარტება ცხადყოფს, რომ უპირატესი სტატუსი არ უნდა მიენიჭოს რომელიმე რელიგიას ან/და რწმენას მისი არსებობის ხანგრძლივობის ან წარმოშობის დროის გამო⁷.

ერთი შეხედვით, სახელწოდებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება რელიგიასთან ან რწმენასთან დაკავშირებულ ტრადიციებს, პრაქტიკასა და იდენტობებს იცავს. თუმცა, ეს ვარაუდი მცდარია. ადამიანის უფლებათა დაცვის პერსპექტივიდან, რელიგიის თავისუფლება

ვისუფლება იცავს არა აბსტრაქტულ ცნებებსა და რწმენას, არამედ ადამიანებს ან სუბიექტთა გაერთიანებებს, რომლებსაც უფლებები აქვთ მინიჭებული.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება არაერთგზის განმარტა და მას „დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლად“ მოიხსენიებს⁸.

რელიგიის თავისუფლება ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს: ადამიანის შინაგან რწმენასა (*forum internum*) და სხვადასხვა სახით მის გამოვლენას (*forum externum*).

რწმენის გარეგანი გამოხატვის მაგალითები:

რწმენისა თუ კონფესიური კუთვნილების საჯაროდ გაცხადება/აღიარება;

რიტუალების ჩატარება და/ან მონაწილეობა;

თავისუფალი შეკრება პირად თუ საჯარო სივრცეში;

სხვადასხვა სახის წეს-ჩვეულების აღსრულება;

რელიგიური სამოსისა და ატრიბუტიკის ტარება;

რელიგიის თავისუფლად გავრცელება, ქადაგება,

რელიგიური ლიტერატურის შექმნა/გავრცელება;

რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნება და რეგისტრაცია;

საკულტო ნაგებობების მშენებლობა და ა.შ.

⁸ Kokkinakis v. Greece
(application No. 14307 / 88)

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზეზები

როგორც უკვე აღინიშნა, რელიგიის თავისუფლება შინაგანი რწმენისა (forum internum) და მისი გარეგანი გამოხატვის (forum externum) კომპონენტებისგან შედგება. ადამიანის შინაგანი რწმენა მისი თავისუფლების, იდენტობის ნაწილია და არის ხელშეუხებელი. დაუშვებელია მისი შეზღუდვა ან აკრძალვა, მათ შორის, საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროსაც კი. თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა რელიგიის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს. შეზღუდვა ვრცელდება რელიგიის მხოლოდ გარეგან გამოვლინებაზე და მისი პირობები, მკაცრად არის განსაზღვრული.

საქართველოს კონსტიტუციით, რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის *არღვევს სხვათა უფლებებს*. 2017 წელს, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, რელიგიის გამოხატვის შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლებია – *საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვა*⁹.

ადამიანის უფლებების სფეროში არსებული ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტებიც მკაცრად განსაზღვრავს რელიგიის თავისუფლების დაცულ სფეროში ჩარევის კრიტერიუმებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 და გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლი ითვალისწინებს რწმენისა და რელიგიის გამოხატვის შეზღუდვას საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით. ნებისმიერი სხვა საფუძვლით რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა შეეწინააღმდეგება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

ამასთანავე, შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

⁹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მ.16. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>.

მაგალითი: თუკი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ამა თუ იმ რელიგიურ გაერთიანებას საკულტო ნაგებობის მშენებლობის გაცემაზე უარს ეუბნება და ამის საფუძველი სხვა რელიგიური ჯგუფის მხრიდან არსებული წინააღმდეგობაა, ამგვარი ქმედება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ რელიგიის თავისუფლების უკანონო შეზღუდვად ჩაითვლება.



რელიგია განათლების სისტემაში

რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის მნიშვნელოვანი სფეროა ზოგადი განათლების სისტემა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება¹⁰. ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებლობას რელიგიური გავლენებისგან. კანონის სპეციალური ნორმები მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა რელიგიის თავისუფლების დაცვას ემსახურება¹¹.

აღნიშნული კანონის საფუძველზე, დაუშვებელია მოსწავლისთვის, მასწავლებლისთვის ან/და მშობლისთვის იმ ვალდებულების დაკისრება, რომელიც მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს ეწინააღმდეგება. კანონით ასევე აკრძალულია რელიგიური სიმბოლიკის არასასწავლო, ანუ რელიგიური მიზნებისთვის განთავსება, მაგალითად, ხატებით სალოცავის მოწყობა. კანონი კრძალავს პროზელიტიზმს¹² და ინდოქტრინაციას – სკოლის ადმინისტრაციის და/ან პედაგოგების მხრიდან მოსწავლეებისთვის კონკრეტული რელიგიური მრწამსის თავს მოხვევასა და ქადაგებას. მოქმედი კანონის ფარგლებში, მოსწავლეებს შეუძლიათ, შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი საკუთარი ინიციატივით, ნებაყოფლობით, *გაკვეთილებისგან თავისუფალ დროს, კლასგარეშე საათებში*, ისე, რომ სასწავლო პროცესს ხელი არ შეემალოს.

არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი რეგულაცია არ ზღუდავს მშობელს, აღზარდოს შვილი საკუთარი რელიგიური შეხედულებებისა და ტრადიციების შესაბამისად.

¹⁰ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35-ე (ახალი რედაქციით: 27-ე). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>.

¹¹ იხ. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი მე-18.

¹² პროზელიტიზმი – სხვების საკუთარ რწმენაზე მოქცევისაკენ (გადაყვანის) სწრაფვა, მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე], თბ., 2004.

რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული — საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა

რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაული ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

რელიგიური შეუწყნარებლობა მაკვალიფიცირებელი გარემოებაა მრავალი დანაშაულისთვის, მათ შორის, წამებისთვის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობისთვის, გენოციდისთვის, თუ ის ჩადენილია ადამიანის რელიგიის ან აღმსარებლობის გამო¹³.

გარდა დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევისა, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პირდაპირ დასჯადია რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები. მათ შორის, აღსანიშნავია სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე და 156-ე მუხლები.

სსკ-ის 155-ე მუხლის თანახმად, დასჯადია ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, თუ ის ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა. ამგვარად, ამ ნორმით, ხელყოფისგან დაცულია ნებისმიერი რელიგიური გაერთიანების და/ან პირის უფლება, აღასრულოს ღვთისმსახურება ან რელიგიური რიტუალი.

156-ე მუხლის თანახმად კი, დასჯადია ადამიანის დევნა დისკრიმინაციული ნიშნით, მათ შორის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო. ამასთან, ტერმინი „დევნა“ ზოგადი შინაარსისაა და დანაშაულებრივი ქმედება მრავალი ფორმით შეიძლება გამოიხატოს, ხოლო თუ ის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან ძალადობით/ძალადობის მუქართაა ჩადენილი, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ დანაშაულად ჩაითვლება.

მაგალითად, დევნად შეიძლება შეფასდეს ასეთი შემთხვევა: დამნაშავემ რელიგიური მსახურების ადგილს განზრახ ორჯერ დააჯახა ავტომობილი და რელიგიურ ლიტერა-

¹³ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე, 144³, 144¹ მუხლები.

ტურას ბენზინი გადაასხა. ინციდენტის დროს თავდამსხმელმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დაზარალებულს. თავდამსხმელი მანამდეც დევნიდა კონკრეტული რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებს.

მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა შეუწყნარებლობის ნიადაგზე განხილვა სასჯელის დამძიმებელ გარემოებად, ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში.

შეიარაღებული ძალები და კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა

ზოგი მოქალაქე რელიგიური ან ეთიკური არგუმენტებით ეწინააღმდეგება რაიმე ფორმით ძალადობას ან სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნას, მათ შორის, სახელმწიფოთა შორის ან/და შიდაეროვნული მიზნებისთვის ომს. ზოგიერთი რელიგიური გაერთიანების მოძღვრება კრძალავს მორწმუნის მონაწილეობას ომში ან სამხედრო ვალდებულების მოხდას. ამ რწმენას შეიძლება დაუპირისპირდეს სახელმწიფოს ინტერესი, ყველა მოქალაქემ მოიხადოს სამხედრო ვალდებულება.

„კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ წარმოშობის საფუძველია ადამიანის რელიგიური ან ეთიკური რწმენა, რომელიც მას ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას უკრძალავს. შესაბამისად, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირები, როგორც წესი, უარყოფენ იარაღით ხელში სამსახურს ომისა და მშვიდობის დროს, რადგან ომი გარდაუვლად გულისხმობს ძალის გამოყენებასა და ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. ვინაიდან სამხედრო სამსახური ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ემსახურება, იგი, პოტენციურად, თავდაცვითი ომისთვის მზადებასაც ნიშნავს. შესაბამისად, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა არა მხოლოდ საომარ მოქმედებებზე, არამედ მშვიდობიანობის პერიოდში სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმასაც გულისხმობს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობს შეთანხმება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის რწმენის თავისუფლებით დაცვის არა მხოლოდ შესაძლებლობის, არამედ აუცილებლობის თაობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით, სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმა, როდესაც იგი მოტივირებულია სერიოზული და დაუძლეველი კონფლიქტით სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულებასა და პირის სინდისსა და მის გულწრფელ რელიგიურ თუ სხვა მრწამსს შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით დაცული რწმენის ან მრწამსის ფარგლებში ექცევა და მასზე კონვენციით დაცული სტანდარტები ვრცელდება¹⁴. ასევე, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციის თანახმად¹⁵, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებათა ფუნდამენტური ასპექტია.

¹⁴ იხ. Bayatyan v. Armenia, 2011 წლის 7 ივლისი.

ამგვარი რწმენა/მრწამსი დაცულია კონსტიტუციური სტანდარტით ევროპული ქვეყნების უმეტესობაში, მათ შორის, საქართველოშიც. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, სახელმწიფო მოქალაქეს ალტერნატიული სამსახურის მოხდას სთავაზობს.

აღნიშნული საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების საგანიც გახდა. 2011 წლამდე, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონი სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლას ყველას ავალდებულებდა¹⁶, მათ შორის, მათ, ვისაც ჰქონდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა – სამხედრო სამსახურის გავლას რელიგიური შეხედულება ან/და მრწამსი უკრძალავდა. კანონის შესაბამისი ნორმები საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი და გადაწყვეტილებაში განმარტა¹⁷, რომ კანონი თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს არღვევდა¹⁸. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ, პირს, რომელსაც აქვს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ, შეუძლია, აირჩიოს ალტერნატიული, შრომითი სამსახური.

ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებისთვის მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის კონსტიტუციური სტანდარტის ჯეროვნად გააზრება, რადგან სამხედრო სავალდებულო სამსახურის არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურით შეცვლის შესახებ მოქალაქის განცხადებას სწორედ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული განიხილავს. მოქალაქეთა (წევრამდელთა, რეზერვისტთა) სამხედრო აღრიცხვას გამწვევი კომისია აწარმოებს. კომისია ვალდებულია, მოთხოვნა მოქალაქის განცხადების მიღებიდან ოცი დღის ვადაში განიხილოს და ყველა მნიშვნელოვანი გარემოება გამოიკვლიოს. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის არსებობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, კომისია ამზადებს დასკვნას, რომელიც მოქალაქის პირად საქმესთან ერთად, საბოლოო დასკვნისთვის ეგზავნება მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიას.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის მხრიდან დაუშვებელია მოქალაქის რწმენის შეცვლის მიზნით რაიმე სახის ზემოქმედება, მათ შორის, მოქალაქესთან საუბარი მისი მრწამსის, რწმენის ან/და რელიგიის მართებულობაზე, სისწორესა და მართლზომიერებაზე.

¹⁵ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია N1518 (2001), ხელმისაწვდომია: <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-EN.asp?fileid=16909&lang=en> [5.03.2018].

¹⁶ „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „...კანონით განსაზღვრული წესით სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა საქართველოს თითოეული მოქალაქის მოვალეობაა“.

¹⁷ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნეიტრალური კანონი, თუ ის ითვალისწინებს ყველას მიმართ, მათ შორის, არათანასწორობა მიმართ თანაბარ მოპყრობას, თავადვე არღვევს თანასწორობის პრინციპს [...], რადგან ის ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფს, დანარჩენებთან შედარებით, აკისრებს გაცილებით მძიმე ტვირთს“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მიმართ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ექცევა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ სფეროში.

¹⁸ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება.

თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის პრექალვის საკანონმდებლო სტანდარტები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა¹⁹.

შესაბამისად, სახელმწიფოს კონსტიტუციით გაცხადებული აქვს პოლიტიკური ნება, უზრუნველყოს პირთა თანასწორუფლებიანობა, მიუხედავად მათი ინდივიდუალური მახასიათებლებისა.

ამ კუთხით საგულისხმოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება: „ამ ნორმაში კანონის წინაშე თანასწორობა მოხსენიებულია ადამიანის თავისუფლებასთან ერთად, რაც უდავოდ მიანიშნებს თანასწორობის მნიშვნელობაზე ადამიანის თავისუფლებისათვის – ადამიანის უფლებები ერთნაირად არის თითოეული ადამიანის კუთვნილება, ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ ერთნაირი ხელმისაწვდომობა მათზე (უფლებებით სარგებლობაზე), მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თავისუფლების სრულყოფილად შეგრძნება“²⁰.

დისკრიმინაცია

საყოველთაოდ აღიარებული განმარტების თანახმად, დისკრიმინაცია არის განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რაიმე ნიშნით, როგორიცაა კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მრწამსი, ეროვნება ან სოციალური წარმომავლობა, საკუთრება, დაბადება ან სხვა გარემოება, რის შედეგადაც ილახება ადამიანის უფლებები²¹.

¹⁹ იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (ახალი რედაქციით – მე-11) მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>.

²⁰ საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1 /539, II-3.

²¹ იხ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები (Economic, Social and Cultural Rights), სახელმძღვ., რედ.: ასბორნ ეიდე, კატარინა კრაუზე, ალან როსას, თარგმანი ნანა ჯაფარიძე-ჭყოიძისა, მე-2 განახლ. გამოც., [თბ., 2006].



სახელმწიფო უკრძალავს რელიგიურ საქმიანობას კონკრეტულ რელიგიურ გაერთიანებას, არ აძლევს მათ ლოცვის, რელიგიური რიტუალების შესრულების, საკულტო ნაგებობების აგების შესაძლებლობას;

საჯარო სამსახურში თანამშრომლებს რელიგიური ნიშნით არჩევენ და უარს ეუბნებიან დასაქმებაზე რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ მიეკუთვნებიან დომინანტ რელიგიურ ჯგუფს.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ უფლების შეზღუდვა ან/და ვინმესთვის უპირატესობის მინიჭება ყოველთვის არ არის დისკრიმინაცია და მას შეიძლება ობიექტური და გონივრული გამართლება ჰქონდეს. მაგალითად, შეიძლება საკულტო ნაგებობის მშენებლობაზე უარი ითქვას, თუ ის საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან არ აკმაყოფილებს მშენებლობისთვის კანონით გათვალისწინებულ ზოგად რეგულაციებს.

არსებობს დისკრიმინაციის რამდენიმე კლასიფიკაცია, სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. მათ შორის, ღია და ფარული, პოზიტიური და ნეგატიური, ინდივიდუალური და სტრუქტურული. ხშირად, ერთმანეთისგან ასხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას.

პირდაპირი დისკრიმინაცია სახეზეა, როცა პირს (ან პირთა ჯგუფს) ეპყრობიან იმაზე უარესად, ვიდრე ეპყრობიან (ან მოეპყრობოდნენ) იმავე მდგომარეობაში მყოფ სხვა პირს (ან პირთა ჯგუფს), იდენტურ სიტუაციაში²². მაგალითად, პირდაპირი დისკრიმინაცია იქნება, თუ, ჰიპოთეტურად, სახელმწიფო, საკანონმდებლო ინსტრუმენტების საშუალებით, უკრძალავს კონკრეტულ რელიგიურ გაერთიანებას კონფესიური ლიტერატურის გავრცელებას, ან, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ყველასთვის დადგენილი ვადის ნაცვლად, ერთი რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებს აიძულებს, მოიხადონ ექვსი თვით მეტი.

არაპირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევაში, ერთი შეხედვით ნეიტრალური რეგულაცია ზღუდავს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის უფლებებს.

საქართველოს კანონმდებლობა დისკრიმინაციის პრევენციის სფეროში

მიუხედავად იმისა, პირდაპირ ჩანს თუ არა უფლების შეზღუდვა დისკრიმინაციულ ნიადაგზე, აუცილებელია მისი შედეგების გაანალიზებაც, რათა დისკრიმინაცია საბოლოოდ გამოირიცხოს ან/და თავიდან ავიცილოთ.

²² იხ. ასევე: Employment Equality Directive, Article 2(2)(a); Gender Equality Directive (Recast), Article 2(1)(a); Gender Goods and Services Directive, Article 2(a), ხელმისაწვდომია: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2004:373:0037:0043:EN:PDF>

გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი თანასწორობის პრინციპისა, საქართველოში 2014 წელს ამოქმედდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი.

კანონის თანახმად, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას რომელიმე დაცული ნიშნის (მათ შორის, ეროვნება, რელიგია, კანის ფერი და ა.შ.) გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,

დისკრიმინაციის მსხვერპლს შესაძლებლობა აქვს, საერთო სასამართლოების საშუალებით მოითხოვოს: ა) დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრა; ბ) მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.



აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდება როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლის სუბიექტებზე. კერძოდ კი, საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, გარდა იმ სფეროებისა, სადაც დისკრიმინაციის აკრძალვა სპეციალური ნორმებითაა რეგულირებული.

აღადმიანთა თანასწორობის უფლებიანობის დარღვევა დასჯადია სისხლის სამართლის ნორმების საშუალებითაც. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად,

„აღადმიანთა თანასწორობის უფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო, ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო აღადმიანის უფლება, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით, ორ წლამდე ვადით²³.



საქართველოში პირის თანასწორობის უფლებიანობა, გარდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონისა, დაცულია სხვადასხვა ნორმატიული აქტით. საქართველოს კანონთა უმეტესობაში, დისკრიმინაციის აკრძალვა პრინციპების დონეზეა გარანტირებული²⁴.

²³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი.
²⁴ მაგ. იხ. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი მე-3, პუნქტი „გ“; ასევე: „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი მე-4, პუნქტი „ე“; „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი მე-8, პუნქტი I; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი მე-3, პუნქტი I, ქვეპუნქტი „თ“.

დისკრიმინაციის აკრძალვის საპეციალური ნორმები გვხვდება საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლში, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციულ მოპყრობას შრომით ურთიერთობაში. მაგალითად, კანონის თანახმად, დისკრიმინაციად ითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნა ან ისეთ პირობებში ჩაყენება, რომელიც აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. მაგალითად, დისკრიმინაციად შეიძლება ჩაითვალოს სამუშაო ადგილზე, შედარებით მძიმე სამუშაოს მიცემა დასაქმებულისთვის, თუ ამგვარი გამორჩევა რელიგიური კუთვნილების საფუძველზე ხდება, ან იმგვარი გარემოს შექმნა, რომელიც შეურაცხყოფელია კონკრეტული კონფესიის თანამშრომელთათვის. ამგვარი დისკრიმინაციის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ მთელი სამუშაო სივრცის მოწყობა ერთი რელიგიის სიმბოლოებით, სამუშაო დღის რელიგიური რიტუალით დაწყება და ა.შ.

საჯარო მოსახლეობის პალდულებები

სხვადასხვა კანონით გათვალისწინებული ნორმების გარდა, საჯარო სამსახურში დასაქმებულებს, რელიგიური ნეიტრალობისა და თანასწორუფლებიანობის დაცვას, დამატებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონიც ავალდებულებს.

კანონის თანახმად,



„ყველა საჯარო მოსამსახურე თანასწორია კანონის წინაშე და დაუშვებელია სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად“²⁵.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად, მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის დადგენილება, რომლითაც საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები განისაზღვრა.

²⁵ იხ. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი მე-9.

მთავრობის დადგენილებაში, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან ერთად, ხაზგასმულია რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის აუცილებლობაც²⁶. საჯარო მოხელე სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას უნდა განასხვავებდეს სახელმწიფო ინტერესს, თავისი პირადი და იმ რელიგიური ჯგუფის ინტერესებისგან, რომელსაც იგი მიეკუთვნება.

რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულება შეიძლება დავყოთ რამდენიმე კომპონენტად:

სახელმწიფო ინტერესისა და პირადი ან რომელიმე კონკრეტული რელიგიური ჯგუფის ინტერესების გამოწვევა სამის წარმოების, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში

საქმის წარმოებისას საჯარო მოხელე უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, ყველანაირი რელიგიური შეხედულებების გავლენის/გათვალისწინების გარეშე. მაგალითად, თუ საქმის წარმოება მიმდინარეობს საკულტო ნაგებობის მშენებლობის გაცემის საკითხზე, საჯარო მოხელის გადაწყვეტილებაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს, თუ რომელი კონფესია აშენებს სალოცავს და მოსწონს თუ არა მას კონკრეტული რელიგიური გაერთიანების საქმიანობა ან მოძღვრება.

საკუთარი რელიგიური შეხედულებების გამოხატვის/დემონსტრირების შეზღუდვა

მთავრობის დადგენილებით, შეზღუდულია საჯარო მოხელის მიერ საკუთარი რელიგიური კუთვნილების დემონსტრირება, თუმცა, ეს შეზღუდვა არ უნდა გავიგოთ, როგორც ამ ფუნდამენტური უფლების უპირობო შელახვა. არსებული რეგულაცია, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სხვა პირთა უფლებების დაცვას და არა საჯარო მოხელის უფლების შეზღუდვას. ნორმა ადგენს, რომ საჯარო მოხელე, როგორც კოლეგებთან, ასევე მოქალაქეებთან ურთიერთობისას, თავი უნდა შეიკავოს რელიგიური შინაარსის საჯარო განცხადებებისგან და არ უნდა მოახდინოს საკუთარი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების მიზანშეუწონელი დემონსტრირება, თუ არ არსებობს ამის პირდაპირი საჭიროება.

მაგალითად, დაუშვებელია, საჯარო მოხელე, რომელიც ემსახურება ან/და ურთიერთობს განსხვავებული რელიგიური კუთვნილების მქონე მოქალაქეებთან, დემონსტრაციულად ავლენდეს საკუთარ რელიგიურ კუთვნილებას სხვადასხვა გზით, მათ შორის, რელიგიური ატრიბუტიკის თვალსაჩინოდ გამოყენებით, მიუთითებდეს მოქალაქის განსხვავებულ მრწამსზე, ხაზს უსვამდეს საკუთარ ან მოქალაქის განსხვავებულ რელიგიურ კუთვნილებას, როცა ამის საჭიროება არ არსებობს.

²⁶ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის დადგენილება №200, მუხლი მე-7.

საჯარო სამსახურში სანთლის, საკმევლის დანთება, დერეფანში ხატების გამოფენა, შენობის საჯარო კურთხევა ერთი კონკრეტული რელიგიური ინსტიტუტის სასულიერო პირის მიერ და ა.შ., აღნიშნული ნორმის დარღვევის მაგალითებია.

ხელმძღვანელი პირის დამოკიდებულება მის დაქვემდებარებაში მყოფი სჯარო მოხელისადმი

საჯარო მოხელეები შეიძლება განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. საჯარო სამსახურის სტრუქტურიდან და იერარქიული ხასიათიდან გამომდინარე, თუკი ხელმძღვანელსა და მის თანამშრომლებს განსხვავებული რელიგიური კუთვნილება აქვთ, ხელმძღვანელის მიერ საკუთარი რელიგიური მრწამსის ხაზგასმამ სხვა საჯარო მოხელეებისთვის შემავიწროებელი გარემო შეიძლება შექმნას.

ხელმძღვანელმა საჯარო მოხელემ, სამსახურში მიღებისას და სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მოქალაქეს/თანამშრომელს არ უნდა აიძულოს მრწამსის გამჟღავნება.

ადმინისტრაციული რეესრის გამოყენება პირადი ან ჯგუფური რელიგიური ინტერესის შესარბელოდ

საჯარო მოხელემ ის რესურსი, რომელიც მინიჭებული აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილების შესასრულებლად, არ უნდა გამოიყენოს საკუთარი ან იმ რელიგიური ჯგუფის ინტერესების გასატარებლად, რომელსაც თავს მიაკუთვნებს.

ამ პრინციპის დარღვევის მაგალითებია: სამსახურებრივი ავტომობილების დროებით სარგებლობაში გადაცემა კონკრეტული რელიგიური ჯგუფისთვის, საწვავის, საკანცელარიო ნივთების მიწოდება რომელიმე რელიგიური ორგანიზაციისთვის, მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები პირის რელიგიური შეხედულებების, მისი მრწამსის გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.)

მუხლი 18: „ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა სწავლებით, წესების დაცვით, აღმსარებლობითა და რიტუალების აღსრულებით“.



ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950 წ.)

მუხლი 9 – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება:

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.
2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966 წ.)

მუხლი 18:

1. თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიას და მრწამსს, როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძოდ, ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით და მოძღვრებითა და სწავლებით.
2. არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას, ჰქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანის რელიგია და მრწამსი.
3. რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე, როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.
4. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ მშობელთა და, შესაბამისად, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა.

დეკლარაცია რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის აღმოფხვრის შესახებ (1981 წ.)

არავინ არ შეიძლება გახდეს ნებისმიერი სახელმწიფოს, დაწესებულების, ადამიანთა ჯგუფის ან პიროვნების მხრიდან დისკრიმინაციის მსხვერპლი რელიგიის ან სხვა მრწამსის საფუძველზე.

რწმენისა და აღმსარებლობის დაცვის გარანტიები ეროვნულ კანონმდებლობაში



საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 16. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები

1. ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.
2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის დაცვის, მართლმსაჯულების განხორციელების ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.
3. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

მუხლი 8. სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური

მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად, სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.

მუხლი 11. თანასწორობის უფლება

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.
2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

რელიგიური გაერთიანებებისა და ედგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტები

მშენებლობის ნებართვების გაცემისას არსებული სისტემური პრობლემები და რეკომენდაციები

საქართველოში საკულტო ნაგებობების მშენებლობაზე ნებართვის გაცემის დროს რელიგიური გაერთიანებების დიდი ნაწილი ერთმანეთის მსგავს, სისტემურ პრობლემებს აწყდება.

წმირად რელიგიური გაერთიანებები მშენებლობის ნებართვას ვერ იღებენ, ნებართვის გაცემა ჭიანჭურდება ბუნდოვანი ან უკანონო საფუძვლით ან საერთოდ არ გაიცემა. არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებლისგან ითხოვს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან რეკომენდაციას, რაც საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

პრობლემების საილუსტრაციოდ, TDI-ის მიერ წარმოებული და გაანალიზებული კონკრეტული საქმეების საფუძველზე, მიმოვიხილავთ რამდენიმე მაგალითს:

მაგალითი I

ერთ-ერთ თვითმმართველ ერთეულში რელიგიურმა გაერთიანებამ მშენებლობის ნებართვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა წესის დაცვით მოიპოვა. მშენებლობის დაწყებიდან ორი კვირის თავზე, შენობის მეზობლად, დომინანტი რელიგიური ჯგუფის წევრებმა მიმდინარე მშენებლობა გააპროტესტეს, რის შემდეგაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მშენებლობის ნებართვა შეაჩერა.

დომინანტი რელიგიური ჯგუფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის გამგებელს მიმართა განცხადებით, რომელშიც აღნიშნავდა, რომ დაწყებული მშენებლობა 60 მეტრის დაშორებით მდებარე მისი საცხოვრებელი სახლის მდგრადობას საფრთხეს უქმნიდა და დაუყოვნებლივ უნდა შეჩერებულიყო. აღნიშნული



საჩივრის საფუძველზე, შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების გარეშე, საკრებულოს თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება მშენებლობის ნებართვის მოქმედების შეჩერების თაობაზე, მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება სადავო საკითხის შესწავლა-გადაწყვეტის მიზნით. მშენებლობის გაგრძელების მოთხოვნით რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლებმა ადგილობრივ თვითმმართველობას ისევ მიმართეს, რაზეც მუნიციპალიტეტის გამგეობამ უპასუხა, რომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო მიღებული. ამის შემდეგ, რელიგიურმა გაერთიანებამ სასამართლოს მიმართა. როგორც სასამართლო დავის პროცესში გამოვლინდა, მუნიციპალიტეტმა ადმინისტრაციული წარმოების ვადები გააჭიანურა, მათი თქმით, „ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე“, კერძოდ, მშენებარე ობიექტთან ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო, სათანადო რეკომენდაციის მიღების მიზნით, მასალები გადაეგზავნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, რომლისგანაც პასუხის მიღება ვერ მოხერხდა.

საბოლოოდ, როგორც რელიგიური გაერთიანების ინიციატივით ჩატარებულმა კერძო ექსპერტიზამ, ასევე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნამ აჩვენა, რომ რელიგიური დანიშნულების საცხოვრებელი სახლის მშენებლობა გვერდით მდებარე შენობების მდგრადობას არანაირ საფრთხეს არ უქმნიდა.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მშენებლობის შეჩერება უკანონო იყო და მუნიციპალიტეტს რელიგიური გაერთიანებისთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა.

შეფასება: აღნიშნული მაგალითი გვიჩვენებს, რომ დომინანტი რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელთა პროტესტი და უმრავლესობის მხრიდან რელიგიური უმცირესობის მიუღებლობა არ შეიძლება მუნიციპალიტეტის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს.

მაგალითი II



რელიგიურმა გაერთიანებამ მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას, რათა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ტერიტორიაზე საკულტო ნაგებობის მშენებლობის ნებართვა მიეღო. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაიწყო საქმის წარმოება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

მშენებლობის ნებართვის გაცემის რეგულატორი ძირითადი ნორმატიული აქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა.

ნებართვის გაცემის პირველი სტადიის დასრულების შემდეგ, განმცხადებელმა, კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას ადმინისტრაციული წარმოების მეორე სტადიის ჩატარებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადებით, რის საფუძველზეც უნდა დაწყებულიყო ადმინისტრაციული წარმოება და მერიას უნდა მიეღო მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.

ადგილობრივმა თვითმმართველობამ მოთხოვნის დაკმაყოფილებელი აქტი არ გამოსცა, ასევე, თავი შეიკავა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისგან, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევაა. საქმის წარმოების პარალელურად, მერიაში, დომინანტი რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებისა და სასულიერო პირების ინიციატივით, მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა მიმდინარეობდა, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან რელიგიური ნეიტრალობის დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა კონკრეტული რელიგიური გაერთიანების საკულტო ნაგებობის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართო დომინანტი რელიგიური ჯგუფი, რომელიც საქმეში მხარეს არ წარმოადგენდა.

რელიგიურმა გაერთიანებამ, მერიისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემის და ვალდებულების მოთხოვნით, საქალაქო სასამართლოს მიმართა²⁷. სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან, მისივე განმარტებით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის ვადის ამოწურვის შემდეგ, მოსარჩელეს აქტის გამოცემის მოთხოვნით, პირველ რიგში, თავად მერიისთვის უნდა მიემართა. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ მშენებლობის ნებართვის გაცემის გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ იქნა მიღებული, აღნიშნული ნებართვა გაცემულად ჩაითვლება.

სასამართლოს ამ განმარტების შემდეგ, რელიგიურმა გაერთიანებამ მუნიციპალიტეტს სანებართვო მოწმობის გაცემის მოთხოვნით მიმართა. ადმინისტრაციულმა ორგანომ სანებართვო მოწმობა არ გასცა, რის შემდეგაც რელიგიურმა გაერთიანებამ საქალაქო სასამართლოში სარჩელი ხელახლა შეიტანა.

²⁷ სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან მოსარჩელის ინტერესებს იცავს „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC).

საბოლოოდ, სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა და მუნიციპალიტეტის მერიას რელიგიური გაერთიანების საკუთრებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკულტო ნაგებობის მშენებლობაზე სანებართვო მოწმობის გაცემა დაავალა. მერიამ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

სასამართლო განხილვის პროცესში, რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელთა თქმით, იმ მოტივით, რომ მართლმადიდებელი ეკლესია და მოსახლეობა კათოლიკე ეკლესიის კუთვნილ ტერიტორიაზე საკულტო ნაგებობის მშენებლობის წინააღმდეგი იყვნენ, სახელმწიფომ რელიგიურ ორგანიზაციას ეკლესიის ასაშენებლად მათი კუთვნილი ტერიტორიის სხვა ადგილზე გაცვლა შესთავაზა.

აღნიშნულ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენა, რათა მშენებლობის ნებართვის გაცემა ხელოვნურად დაებრკოლებინა. მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი რელიგიური გაერთიანების საკულტო ნაგებობის მშენებლობის მიმართ, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო დადგენილება, რომლითაც მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიანიჭა იმ ტიპის მიწის ნაკვეთის სტატუსი, რომელზეც საკულტო ნაგებობის მშენებლობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან სპეციალურ შეთანხმებას (სპეციალური ზონალური შეთანხმება) მოითხოვდა. აღნიშნული ქმედება მიზნად უკვე გაცემული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების) მოქმედების შეწყვეტას ისახავდა.

შეფასება: მოცემული საქმე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ რელიგიური ნეიტრალურობის დარღვევისა და დომინანტი ჯგუფისადმი დიკერძოების კიდევ ერთი მაგალითია, რის შედეგადაც უმცირესობას რელიგიის თავისუფლებით სარგებლობა ეზღუდება.

მაგალითი III



რელიგიურმა ორგანიზაციამ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკულტო ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით მიმართა. ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებლისგან მშენებლობის მიზანშეწონილობის თაობაზე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციის წარდგენა მოითხოვა.

რელიგიურმა გაერთიანებამ ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა სასამართლოში გაასაჩივრა. მოსარჩელის პოზიციით, თვითმმართველობის ორგანომ, არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ მომზადებული არასავალდებულო ხასიათის დოკუმენტის მოთხოვნით და ამის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის გაუცემლობით, რელიგიური გაერთიანების უფლებები შეზღუდა.

რელიგიური ორგანიზაცია, სასამართლო წარმოების ფარგლებში, მშენებლობის ნებართვაზე უარის ბათილად ცნობასა და არქიტექტურის სამსახურისთვის ახალი კანონშესაბამისი აქტის გამოცემის დავალებას ითხოვდა.

სასამართლომ დააკმაყოფილა რელიგიური გაერთიანების სარჩელი და განმარტა:

- საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა განმცხადებლისგან, წარედგინა სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია (მათ შორის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაცია), გარდა კანონით გათვალისწინებული საბუთისა ან ინფორმაციისა.
- იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევდა, რომ ამგვარი რეკომენდაცია ან/და დასკვნა აუცილებელი იყო გადაწყვეტილების მისაღებად, მას თავად შეეძლო მიემართა რელიგიის საკითხთა სააგენტოსთვის.
- ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონი არასწორად განმარტა და, ამიტომ, შეზღუდა მოსარჩელის მიერ კუთვნილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ და საექსპლუატაციოდ სარგებლობის უფლება.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში ვალდებულებას, წარმოდგენილ იქნას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დასკვნა. შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა უფლება, მოსარჩელისთვის მოეთხოვა კანონით გაუთვალისწინებელი დოკუმენტის წარმოდგენა, ხოლო, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, შეეძლო, რეკომენდაციის მისაღებად თავად მიემართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთვის.

შეფასება: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც, ამ დებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის ახორციელებს რელიგიის სფეროში საინფორმაციო, კვლევით, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სარეკომენდაციო საქმიანობას²⁸.

²⁸ იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 177 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.

სააგენტოს დებულებით, მისი ძირითადი ფუნქცია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის საკონსულტაციო საქმიანობის გაწევაა. ამავდროულად, ის დახმარებას უნდა უწევდეს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებს იმ საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც რელიგიის საკითხებს ეხება.

სააგენტოს დებულების თანახმად, მის უფლებამოსილებას მიეკუთვნება რეკომენდაციების გაცემა უფლებამოსილი ორგანოებისათვის, რელიგიური, საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და სხვადასხვა შენობება-ნაგებობის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე²⁹, თუმცა ეს დათქმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ამგვარი რეკომენდაციის მოპოვება განმცხადებლის ვალდებულება ან/და მშენებლობის ნებართვის მიღების აუცილებელი პირობაა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც, იერარქიული თვალსაზრისით, უფრო მაღალი დონის ნორმატიული აქტია, ვიდრე მთავრობის დადგენილება, ადგენს, რომ არ შეიძლება ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებელს მოსთხოვოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა. ამასთან, დაუშვებელია ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა ამ მიზეზით³⁰.

მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა დეტალურად არის მოცემული 57-ე დადგენილებაში და იმ დოკუმენტაციის/ინფორმაციის სიაში³¹, რომლის წარდგენაც განმცხადებლისთვის სავალდებულოა, არ არის რეკომენდაცია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან.

შეფასება: მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დროს, სავალდებულო არ არის განმცხადებლის მიერ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან რეკომენდაციის წარმოდგენა და ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მსგავსი მოთხოვნა უკანონოა.

რეკომენდაცია: ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისას, მათ შორის, რელიგიური გაერთიანებებისთვის მშენებლობის ნებართვების გაცემის დროს, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ უკანონო დაბრკოლებების შექმნის, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არაუფლებამოსილი ორგანოების ჩართვისა და საკითხის გადაწყვეტის ხელოვნური გაჭიანურებისგან.

²⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება №177 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი მე-2.

³⁰ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლის I და II ნაწილები.

³¹ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება №5 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“.

მაგალითები:



მუნიციპალიტეტის გამგეობამ ერთ-ერთ ეპარქიას გადასცა 100,000 ლარი „სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის“;

მუნიციპალიტეტმა ამავე ეპარქიისთვის 138,652 ლარის ღირებულების ნივთები შეიძინა, მათ შორის, ელექტროტექნიკა, წაბლის ხეში ნაკვეთი სამეუფეო სავარძელი, საოფისე ინვენტარი, რბილი ავეჯი, შპს „ბელუქსის“ ზეთისხილის მოოქროვილი ჭურჭელი, აკვარიუმი აქსესუარებითურთ და სხვ.;

მუნიციპალიტეტმა დომინანტი რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელ სასულიერო პირს ათონის მთის მოსალოცად და სიწმინდეების შესაძენად 10,000 ლარი გამოუყო;

ერთ-ერთმა მუნიციპალიტეტმა სასულიერო გიმნაზიას 56 798 ლარი გამოუყო. აქედან, თანხის ნაწილი სკოლის ხელმძღვანელობის ხელფასებისთვის იყო განკუთვნილი;

მუნიციპალიტეტმა სამრევლო სკოლების გასახსნელად ეპარქიას 12 500 ლარი გადაურიცხა.

მაგალითი: ადმინისტრაციული საზღვრისა და რელიგიური ორგანიზაციის ტერიტორიული დაყოფის მანიშნებელი სპერტო ბანერის მანთავსება მუნიციპალიტეტის მიერ



საქართველოს ზოგ მუნიციპალიტეტში გვხვდება ბანერები, რომლებიც აღნიშნავს როგორც მოცემული ადმინისტრაციული ერთეულის, ასევე კონკრეტული ეპარქიის ტერიტორიულ საზღვრებს. ვიზუალურად ბანერი გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ მუნიციპალიტეტისა და რელიგიური თემის საზღვრები ერთმანეთს ემთხვევა და იგი სიმბოლურად რელიგიური და სეკულარული სივრცეების ერთიანობას გამოხატავს. ამგვარი ბანერების/საგზაო მანიშნებლების განთავსება ხშირად ფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით. ასეთი პრაქტიკა გამოხატავს სახელმწიფოს მიკერძოებულ დამოკიდებულებას კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციისადმი და სეკულარობის პრინციპებს არღვევს.

რელიგიური ორგანიზაციებისა და აღმოსავლური თვითმმართველობის თანამშრომლობის შესაძლებლობები

2013-2016 წლების მუნიციპალური დაფინანსების პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ დომინანტი რელიგიური ორგანიზაციისთვის მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი თანხიდან სოციალურ პროექტებსა და საქველმოქმედო საქმიანობაზე, როგორც წესი, 1%-ზე ნაკლები იხარჯება.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არსებობს რელიგიურ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის პოზიტიური თანამშრომლობის პრეცედენტები – მუნიციპალიტეტის მერია რელიგიურ ორგანიზაციას თანხას გამოუყოფს სოციალური მომსახურების/საქველმოქმედო პროექტის განხორციელებისთვის. მაგალითად, ზოგიერთ რელიგიურ გაერთიანებას აქვს კარგად განვითარებული დიაკონური სამსახური – სპეციალური საჭიროებების მქონე მოქალაქეებს სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას სთავაზობს. ეს მომსახურება ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის, განურჩევლად მათი რელიგიური კუთვნილებისა. შესაბამისად, რელიგიური ორგანიზაცია სახელმწიფო დაფინანსებას იღებს სეკულარული მიზნებისთვის და ქმნის საზოგადო სიკეთეს. რელიგიურ ორგანიზაციასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ამგვარი თანამშრომლობის ფორმატი მისასაღმებელია.

რეკომენდაცია: ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებმა ბიუჯეტიდან რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებისას, რელიგიური ნეიტრალურობისა და თანასწორობის პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ და ობიექტურად შეაფასონ გასაცემი თანხის მიზნობრიობა.

საჯარო სივრცის გამოყენება, საჯარო თავშესაფარი, ნაგებობა აქტივებისა და მსვლელობების გამართვისთვის

საჯარო სივრცეში რელიგიური იდენტობის გამოხატვა რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. საქართველოში რელიგიურ გაერთიანებებს ხშირად ექმნებათ დაბრკოლებები მასშტაბური ღონისძიებების გამართვის, რელიგიური რიტუალების ჩატარებისა და ლიტერატურის გავრცელებისას.

რელიგიური შინაარსის ღონისძიების/რიტუალის გამართვას შეიძლება არ სჭირდებოდეს წინასწარი გაფრთხილება, ან, მისი მასშტაბიდან გამომდინარე, აუცილებელი იყოს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის წინასწარი შეტყობინება.

საჯარო სივრცის გამოყენებაზე, მათ შორის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დემონსტრაციების ან/და რელიგიური რიტუალების მოწყობაზე, რამდენიმე სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი სტანდარტიც ვრცელდება.

ყველა ადამიანი (გარდა სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობისა) სარგებლობს უფლებით, მიიღოს მონაწილეობა შეკრებაში, ყველანაირი წინასწარი გაფრთხილებისა და ნებართვის გარეშე³³.

თუ შეკრება იმართება ხალხის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის ადგილზე, დაწესებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ხუთი დღით ადრე გაფრთხილების ვალდებულება. გაფრთხილების შეტანა არ გულისხმობს რაიმე სახის ნებართვის ან/და ლიცენზიის გაცემას და მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების წინასწარ ინფორმირებას ემსახურება³⁴.

ეს პროცედურა საჭიროა, რადგან ღონისძიების გამართვა ზოგჯერ შეიძლება დაკავშირებული იყოს ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებასთან.

მაგალითი:



რელიგიური გაერთიანება გეგმავს რელიგიური ხასიათის მსვლელობას კონკრეტული მარშრუტით, რაც ტრანსპორტის მოძრაობას შეაფერხებს. ამ შემთხვევაში, დაწესებულია ადგილობრივი ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება. ეს იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ დაიგეგმოს და შეიცვალოს ტრანსპორტის მოძრაობა, რათა დაცული იყოს მსვლელობის მონაწილეთა უსაფრთხოება და თავიდან ავიცილოთ ტრანსპორტის პარალიზება.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, გადაწყვიტოს ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკრების მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეკრების გამართვა შესაძლებელია სხვაგვარად, ისე, რომ არ შეფერხდეს ტრანსპორტის მოძრაობა ან შეკრების მონაწილეები აფერხებენ ტრანსპორტის მოძრაობას ხელოვნურად, ბარიკადებით, ბარიერებითა და სხვა საშუალებებით ისე, რომ ამის აუცილებლობა არ არსებობს.

რეკომენდაცია: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა რელიგიურ გაერთიანებებს არ უნდა შეუქმნან ხელოვნური დაბრკოლებები მათ მიერ საჯარო სივრცით სარგებლობის, მასშტაბური ღონისძიებების გამართვის, რელიგიური რიტუალების ჩატარებისა და ლიტერატურის გავრცელებისას.

³³ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21-ე.

³⁴ იხ. საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მუხლი მე-5.

რელიგიური მრავალფეროვნების ენა

საჯარო განცხადებები ერთგვარი ინდიკატორია საჯარო მოხელის ეთიკურობის, განათლების დონის, შემწყნარებლობისა და პოლიტიკური გემოვნების დასადგენად.

საზოგადოებაში გარკვეული რელიგიური ჯგუფების მიმართ სტერეოტიპების გაღრმავებას ხელს უწყობს ქსენოფობიური განცხადებები, სიძულვილის ენა და არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენება.

ამ მხრივ, საჯარო მოხელეებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათი სტატუსის, ავტორიტეტის, საჯარო სივრცესა და მედიაში ხილვადობის გათვალისწინებით.

რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ ის ტერმინოლოგია, რომლებითაც კონფესიები საკუთარ თავს აღწერენ.

საილუსტრაციოდ, ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ასეთი დამაკნინებელი და/ან მცდარი ტერმინი, რომლებიც ხშირად გამოიყენება.

საქტა/საქტანტი³⁵ – საქართველოში, ხშირად, შედარებით გვიან დაფუძნებული რელიგიური ორგანიზაციების დაკნინების მიზნით იყენებენ.

კრატრალიგიული რელიგიები – ამ ტერმინით მოიხსენიებენ შედარებით მცირე ან გვიან დაფუძნებულ რელიგიურ ორგანიზაციებს, რითაც ხაზს უსვამენ მათ უთანასწორო მდგომარეობას დომინანტ ან აბრაამულ, ე.წ. ტრადიციულ კონფესიებთან მიმართებით.

ოფიციალური რელიგია – ეს ტერმინი სამეცხველო პრაქტიკაში გვხვდება დომინანტი რელიგიური ორგანიზაციის უპირატესობის ხაზგასასმელად, „სახელმწიფო რელიგიის“ მნიშვნელობით. თუმცა, მცდარი ტერმინია, რადგან საქართველოში არცერთ რელიგიურ ორგანიზაციას არ აქვს სახელმწიფო რელიგიის სტატუსი.

³⁵ ეკლესიასა და ქვეყნის ზოგად ტრადიციებთან დაპირისპირებული ჯგუფი. სიტყვა ლათინურია და გამოყოფას, ჩამოჭრას, მოკვეთას ნიშნავს, მეორეული აზრით – სკოლას, მიმდინარეობას. წყარო: რელიგიები საქართველოში. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, 2008.

ოფიციალური რელიგიური ორგანიზაცია – ზოგჯერ ეს ტერმინი გამოიყენება ერთი კონფესიის წარმომადგენელ რამდენიმე რელიგიურ გაერთიანებას შორის კონკრეტული ორგანიზაციის უპირატესობის ხაზგასასმელად. საქართველოს კანონმდებლობით, ყველა რელიგიური გაერთიანება თანასწორია, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსის, მრევლის თუ საკულტო ნაგებობების რაოდენობისა.

იეჰოვას მოწმის დამახინჯებული ვერსია – ხშირად ასევე დაკნინების ან შეურაცხყოფის მიზნით გამოიყენება განსხვავებული იდენტობისა და ღირებულებების მქონე ადამიანების კრებით სახელადაც.

თათარი – ეთნიკური იდენტობის აღმნიშვნელი ტერმინია და არასწორად გამოიყენება ისლამის მიმდევრის, *მუსლიმის* სინონიმად.

მაჰმადიანი – უარყოფითი კონოტაციის გამო, ხელს უწყობს საქართველოში მცხოვრები მუსლიმების მარგინალიზებას.

„თარაღი / მაჰმადიანი მესხები“ – XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოდან იძულებით გადასახლებული მესხების მიმართ გამოიყენება. მის ნაცვლად უნდა იყოს გამოყენებული ტერმინები: „დეპორტირებული მესხები“, „იძულებით გადასახლებული მესხები“, „მუსლიმი მესხები“³⁶.

მრიმორიანული ეკლესია / მრიმორიანელები – არასწორად გამოიყენება სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი წევრების სინონიმად.

პაპისტები, ლუთინები, ფრანგები – არასწორად გამოიყენება კათოლიკეების სინონიმად. ასევე არასწორია *კათოლიკური ეკლესია* – სწორია *კათოლიკე ეკლესია*.

კათოლიკური შოგა – ხშირად ასე მოიხსენიებენ 25 დეკემბრის შობის დღესასწაულს. სინამდვილეში, შობას „ახალი კალენდარული სტილით“ (შესწორებული იულიუსის კალენდარი), კათოლიკე ეკლესიის გარდა, ზეიმობს პროტესტანტული ეკლესიების უმრავლესობა და ათი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, საბერძნეთის, კვიპროსის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, ჩეხეთ-სლოვაკეთის, ამერიკის).

ურჩიები – ებრაელის სინონიმად გამოიყენება ხოლმე. შეურაცხყოფელი ტერმინია.

³⁶ წყარო: მედიის განვითარების ფონდი, <http://mdfgeorgia.ge/uploads/library/77/file/Publication-Geo.pdf>

რეკომენდაცია: სიძულვილის ენასთან საბრძოლველად საჭიროა გაძლიერდეს მულტიკულტურული განათლების როლი და გაიზარდოს უმცირესობების ხილვადობა საჯარო სივრცეში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სხვადასხვა რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფს შორის კულტურული, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების წახალისებით, შეუძლიათ პოზიტიური წვლილი შეიტანონ მულტიკულტურული სივრცეების შექმნაში, განვითარებასა და ტოლერანტული გარემოს ხელშეწყობაში.

